№ 37—38, თბილისი. 1942 წ. ოქტომბერი. გამოცემის წელი XIX. გამომცემლობა „კომუნისტი“. ფასი 1 მან.

# ნიცბი

18/XI 2 № 124

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ლომიძისა

დიდი ოქტომბრის გრიგალებში წარმოშობილი
დიდი სამშობლო მოგვიხმობს და ჩვენც მტკიცედ გვიცავთ,
რომ მის დროშის ქვეშ ფოლადივით გამოწრთობილნი
მას ჩვენის მკერდით და სიცოცხლით მუდამ დავიცავთ!

ნიანგი ულოცავს თავის მკითხველებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდახუთ წლისთავს.

ხალხთა ისტორიას არ ახსოვს მეორე მაგალითი იმისა, რომ ამ ხნის მანძილზე შესაძლებელი გამხდარიყო ისეთი დიადი გამარჯვებების მოპოვება, რომელთაც საბჭოთა კავშირის ხალხმა მიაღწია.

ძნელია ყველა იმ წარმატებათა აღნუსხვა, რაც მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ.

საბჭოთა კავშირის მტრები დღიდან ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა, განუწყვეტლივ ბრძოლებს აწარმოებდნენ, რათა საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის შუღლი და მტრობა დაეთესათ. მაგრამ ლენინ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით მათი ოცნება ფუჭად იქცა და ჩვენი სამშობლოს ხალხთა კავშირი კლდესავით განმტკიცდა. ამის თვალსაჩინო მაგალითს იძლევა ფაშისტური გერმანიის მუხანათური თავდასხმა საბჭოთა კავშირზე, რომელმაც ვააერთიანა ფაშიზმის წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის მიერ წარმოებულ სამართლიანი ომის დროშის ქვეშ არა თუ საბჭოთა ხალხები, არამედ ყველა თავისუფლების მოყვარულ ქვეყნების, პირველ ყოვლისა კი ინგლისისა და ამერიკის შეერთებულ შტატების მრავალმილიონიანი ხალხები.

საბჭოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანაა მთელ მსოფლიოში, რომელმაც გაუძლო ფაშისტური გერმანიის და ევროპის ხალხთა გამყიდველ ურდოების იერიშს და რომელიც წარმატებით სპობს მუხანათ მტერთა ძალებს. ეს გამარჯვება შედეგია ყველა იმ მიღწევებისა, რომლებიც მოგვცა დიდმა ოქტომბერმა, და რომლებიც მოპოვებულია დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით. საბჭოთა კავშირის სიმტკიცე, მისი ძლიერება ცხადჰყოფს ოქტომბრის რევოლუციის სულისჩამდგმელთა იდეების ცხოველმოსილებას.

ოქტომბრის რევოლუციის ოცდახუთი წლისთავი კიდევ უფრო აღგვაფრთოვანებს ჩვენი დიადი სამშობლოს დასაცავად, მისი საბოლოო გამარჯვებისათვის.

სახელი და დიდება ყველა იმათ, ვინც თავიანთი მგზნებარე ბრძოლებით თავდაცვისა და შრომის ფრონტებზე სჭედდა ჩვენი სამშობლოს ძლიერებას!

დიდება საბჭოთა კავშირის გმირებს, წითელარმიელებს და მეზღვაურებს, დიდება საბჭოთა კავშირის შევარდნებს, ჩვენს სახელოვან ტანკისტებს, არტილერისტებს, ნაღმმტყორცნელებს, კავალერისტებს, ჩვენს მამაც პარტიზანებს, რომლებიც მძლავრი ცეცხლით ანადგურებენ მტრის ცოცხალ ძალებს და სჭედენ საბოლოო გამარჯვებას მუხანათ მტერზე!

დიდება ლენინ-სტალინის პარტიას—დიადი რევოლუციისა და გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის ორგანიზატორს!

დიდება ხალხთა ბელადს, გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს!

## აბ მოეწონათ

ნახ. დონისა

დიად ბრძოლის და გამარჯვებების
ოცდამეხუთე შესრულდა წელი...
დასჩერებიან კალენდარს შურით,
სანახაობამ მოსწყვიტა წელი.

## სიკვდილი მათ!

ოცდა ხუთი ოქტომბერის
განვვლეთ ოცდახუთი წელი,
მტერი შურით ივსებოდა
ვერაგი და საძაგელი.

მათ უნდოდათ შეეცვალათ
მწუხარებად ჩვენი ლხინი,
ხელში ეგდოთ ჩვენი დროშა,—
ვყოფილიყავთ ქედდახრილი.

მაგრამ ჩვენ ამ დიად თარიღს
ვეგებებით მტკიცედ, ვით კლდე
და გვჯერა რომ სიკვდილი სჯობს,
დამარცხებას მტერთან ვიდრე.

თავისუფალ ჩვენს ქვეყანას,
მიტომ ვსჭედდით ოფლით, სისხლით,
რომ ვემონოთ ბარბაროსებს,
და ვდრკებოდეთ მათი რისხვით?

ეს არასდროს არ მოხდება,
დედამიწა ვიდრე ბრუნავს,
როგორ შესძლებს ბარბაროსი
მიწის ღერძის გადმოღუნვას?

ჩვენ ამ ქვეყნად მოვსპობთ იმ ჭირს,—
მიხაკისფერს რომ ატარებს,
სიკვდილი მათ, სისხლის მსმელებს
მუხანათებს და მტარვალებს.

ფარნა ძვემეხაური

## პორტრეტები

**რომის პაპი:** ახირებული ხალხია საბჭოთა კავშირში: 25 ოქტომბერი არცერთ საღვთო წერილში არ არის დასახელებული დღესასწაულად და მაინც ზეიმობენ! უუჰ, მათი...

**ჰიტლერი:** არ გაჭრა ჩემმა იმედებმა: მაიკოპიდან ნავთის სუნის ნაცვლად ნამწვრის სუნი მეცა... ბაქომ კი გამოუვალ მდგომარეობაში ჩამაყენა: არც მე მიშვებენ ბაქოსთან და არც ბაქო მოდის ჩემთან...



**მუსოლინი:** ჯიუტი ხალხია რუსები: შარშან ამ დროს მოსკოვის წითელ მოედანზე პარადი ფიურერს უნდა მიეღო და წელსაც კი...

# ჩ ა მ წ ა ა რ ე ბ ა

„მესამე იმპერიის“ ახალ კანცელარიაში მორიგი მუშაობა დაიწყო ისევ ისე, როგორც გუშინ.

— „ისევ ისე, როგორც გუშინ“,—გაიფიქრა პროპაგანდის მინისტრმა გებელსმა,—უნდა შევუდგე ოპტიმიზმის დამხადებას! ოპტიმიზმი, როგორც გერმანიისათვის, ისე მთელი ევროპისათვის, დალაბვროს ეშმაკმა! ეს ჩვენი ფიურერიც ჩამციებია: გინდა თუ არა, ჩვენი მოქმედება გაბერე როგორც გამარჯვებაო,—ტიკი ხომ არ არის რომ გავბერო? ვბერავ და იმავე წუთში იფუკება, მეტი რა ჯანდაბა მოვუხერხო?

გებელსს უნდა განეგრძო მონოლოგი, მაგრამ კარი გაიღო და კამერჰერმა თეატრალური თავდაბრით მოახსენა:

— ფიურერის ადიუტანტმა გიბრძანათ, ახლავე ეახლოთ!

შეშფოთებული მინისტრი ფეხზე წამოდგა, საათს შეხედა და გაუკვირდა, რომ ასე ადრე იბარებდა „ის“.

— სჩანს რაღაც ახალ საწვალებელს გამომიჩენდა, უჰ...

მან ქაღალდები წამოკრიფა, სარკის წინ თმები შეისწორა, სახეზე მლიქვნელური ღიმილი გაიკეთა და მოკრძალებული ნაბიჯით გასწია „მის“ კაბინეტისაკენ.

„ფიურერი“ ღრმა ფიქრებში ჩაფლული დახვდა.

— გისმენ, ფიურერ!

— იცი თუ არა, რომ ამ დღეებში შვიდი ნოემბერი იქნება?

— ვიცი, ფიურერ!

— იცი თუ არა, რომ ძველი სტილით ეს არის ოცდახუთი ოქტომბერი?

— ვიცი ფიურერ!

— მაშ ისიც ხომ უნდა იცოდე, რომ ეს დღე წარმოადგენს რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავს და 7 ნოემბერს ბოლშევიკები იზეიმებენ.

— ვიცი, ფიურერ!

— რას ფიქრობ ყველა ამის შესახებ?

— იმას, რაც ახლა თქვენ ბრძანეთ ყველა ამის შესახებ.

— არა, ეგ არ კმარა.

— მაშ რა არის საჭირო?

— საჭიროა, რომ ეს ზეიმი ჩამშარდეს.

— რით ფიურერ?

— სტალინგრადის აღებით, კავკასიის დაპყრობით, წითელი არმიის განადგურებით და სხვა და სხვა...

— მმ-მ... წაიღმუვლა გებელსმა,—გულში კი ჩუმად გაიფიქრა: „სულელურ ხლაპარს ამბობს“.

— არავითარი „მ-მ“—ახლა კმარა, წადი, იფიქრე და ზეგ დილით მომელაპარაკე ამ საკითხებზე.

გებელსი უხმოდ ადგა, თავი დაუკრა და თითის წვერებზე გავიდა.

* * *

მესამე დღეს დანიშნულ საათზე ეახლა „ფიურერს“.

— მ-მ... შეიძლება?

ჰიტლერმა ხელით ანიშნა შეიძლებაო, თვითონ კი ფრონტიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობებს ჩასცქეროდა, საფეთქლებს ისრესდა და სდუმდა. ეტყობოდა, ბრაზი ახრჩობდა.

— მ-მ... კვლავ შეეხმაურა გებელსი.

— სთქვი.—მიახალა „ფიურერმა“.

— მე იმის შესახებ...

— რის შესახებ?

— იმის შესახებ, რომ ამ დღეებში შვიდი ნოემბერი იქნება.

— მერე?

— ძველი სტილით ეს არის ოცდახუთი ოქტომბერი.

— მერე?

— ეს დღე წარმოადგენს რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცდახუთი წლისთავს და შვიდ ნოემბერს ბოლშევიკები იზეიმებენ.

— ძერე, რა არის საჭირო?

— საჭიროა რომ ეს ზეიმი ჩამწარდეს.

— რით?

— სტალინგრადის აღებით, კავკასიის დაპყრობით, წითელი არმიის განადგურებით და სხვ.

— სწორია, უნდა ჩამწარდეს,—მიუგო ჰიტლერმა მოწადინებით. გულში კი ჩუმად გაიფიქრა: „სულელურ ხლაპარს ამბობს ეს იდიოტი“. ბოლოს მან გაუწოდა ფრონტიდან მიღებულ ცნობების ბიულეტენი და დასძინა:

— მაგ საკითხზე შემდეგ, ახლა კი ამ ცნობების შენებურად შეკეთებაა საჭირო ისე, რომ სტალინგრადის და კავკასიის ფრონტებზე ჩვენი წარუმატებლობა...

— გამარჯვებად მოვაჩვენო არა? — შეაწყვეტინა გებელსმა.

— სწორედ ასე, გამარჯვებად.

და გებელსი კვლავ თითის წვერებზე გავიდა კაბინეტიდან.

* * *

რამოდენიმეჯერ გამართულ დიალოგის შემდეგ, შვიდ ნოემბერს კვლავ თითის წვერებზე შევიდა გებელსი „ფიურერთან“. იგი მეტად მეავე ხასიათზე დახვდა.

— მოკლედ,—ესროლა მან მკვახედ.

— მე ისევ იმის შესახებ.

— რის შესახებ?

— ბოლშევიკებისათვის შვიდი ნოემბრის ზეიმის ჩამწარების შესახებ, დღეს ისინი უკვე ზეიმობენ... ჩვენ კი ვერც სტალინგრადი, ვერც კავკასია, ვერც წით...

— ვიცი, ვიცი, უშენოდაც კარგად ვიცი, რომ ყველაფერი ეს არ გამოვიდა,—შეუღრიალა მრისხანედ ჰიტლერმა და მაგიდას მაგრად დაარტყა მუშტი. გებელსი შეხტა, მოიკაკვა, დაწყებული სიტყვა ლუღლუღით დაამთავრა:

— მ-მმ!..

„ფიურერს“ კი თანდათან უფრო მეტად ეროდა მრისხანება, თავს ფლეგმატურად აქნევდა, ბოლოს ბრაზისაგან სიტყვები ბგერებით შესცვალა და მის კაბინეტში ისმოდა მხოლოდ სურვილების მორიგი ჩამწარებით გამოწვეული ღმუილი:

— მ-მმ!...

**ომარი მედგარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეღვა

### უგედური შემთხვევა

**ალექსანდრია.** ეგვიპტეში ინგლისის არმიის მიერ შეტევების დაწყებასთან დაკავშირებით უგზოუკვლოდ დაიკარგა იტალიის ჯარების გენერლის მოზეტო ჩაჩიანის ქვედა საცვალი.

### ბიზეზი და შედეგი

**მილანი.** მასების „ღრმა სიყვარულით“ „აღფრთოვანებულმა“ ბენიტო მუსოლინიმ პირადი დაცვის ჯარისკაცთა რიცხვი 19-დან 46 ბატალიონამდე აიყვანა.

### არჩევანი

**ულნევა.** ჰიტლერის გენერალურმა კომისარმა ესტონეთში ტლინკენბერგმა (იგივე ლიცმანმა ანუ კვიცმანმა) რადიოთი გლეხებს მოუწოდა ხასწრაფოდ მოახდინონ არჩევანი: ან სული ჩააბარონ გერმანიის მთავრობას, ან შემოდგომის მოსავალი.

### ფარცხი-მარცხი

**ჩიკაგო.** ჩილის ახალი პრეზიდენტის არჩევნების დროს გერმანიის ელჩს ჰერ ბითურბერგს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მას ოფიციალურად განუცხადეს, რომ ახალ პრეზიდენტს რიოს განზრახული აქვს მოკლე ხანში შესწყვიტოს ურთიერთობა ღერძის ხალხმწიფოებთან.

### დავალების შესრულება

**ჰამბურგი.** პოლონელმა პარტიზანებმა ჰიტლერელებისათვის ახალი მოსავლის აღების ნაცვლად ბერლინ-ვარშავის რკინიგზის ლიანდაგი აიღეს.

## დაუვიწყარი თარიღი

ნახ. ე. მაყაშვილისა

— ჩემთვის ორგზის დაუვიწყარია ეს თარიღი: ოცდახუთი წლის წინად ჩემი ბიჭი დაიბადა, დღეს კი მწერს, რომ ოქტომბრის ოცდახუთი წლისთავზე გმირული ბრძოლისათვის საამაყო ჯილდო მიულია.

# მოასნრეს

ნახ. დონინა

— რაგომ არ შეხრულდა ჩემი ბრძანება 129 დივიზიის ნაწილების თავის მოყრის შესახებ?

— როგორ არა, შე რულდა ჰერ! მიხი ნაწილები აქ არინ უკვე თავმოყრილი. მხოლოდ ჩვენ არ შეგვხრულეფენა... წეთილმა არმიამ შეხრულა...

# წერილი ვიოკეთმ მეორისაგან ადოლფ „პირველისადმი"

ჰე, ადოლფ, ეხე უხკარი არს ჩემგან მონაცვაწეხი,
ეუფლი კალმად მაქვს, კალამი—ნაკვეფლში ამონაწეხი,
ხეფდის და ოფეის მაზეზი მაგულლიხს, კი არ მცარეფს,
ჩემი ვიეეის მსაეეფი ყოველი სუფი ჩკერიფეს.
ცოცხლად ხომ ხეფს ბეფეს ბეფოალეი გამეწარი,
და ოფლაშეი ნაპრეხი ჩემი—დამეხეხეენ ფაბარა,
ოფმეც ხიკვიფალ ეკმს ვიოავი დაკარგულ-გამოფაფეხი,
მაგრამ ხომ ჩეენგან ერთ ფრონტი ამეერაკორის ტატეფი?
ამალი კი, ტატეფლს ვინ ნაალოსს, ან ტატეფს დაკარგულეფსა,
ოლონდ კი დამბაფეხეფ ჩემთვის, გამფლსა სუფლეფსა,
ზეს „ეაარსენი ხიკოცეი" რომ ბოკიხეი მოეფი ჭკეეფა,
ხიკოცეს ნამეცეფე არ მინდა ხიაკეიფი მე ეკიმ?
არიფეფ ხალხთა ნოსხეეფთან ეს მბარე ანა გაკეფდე,
აკ დამხადგომი ადგილიკ არ მაქვს, რომ ფეეზე ვიგეჩერდე.
შენ კი, ბიხ ნაცვლად, რომ ეარი შემოსეფეფეფო ფეფხარეს,
ცეცხლისკან დამეწვარ ადგილზე კიდეე მამაკეს მფფარეს;
ალდეგ ამაფ ეუნდეს მიეზაავი ოფფი დამოიდენ ჩკედრისპასა
ამი დადეკერი, ეიფეს რა ბიანეი გადაკეფდეფსა?
მე მაგაწერავეს მიხოვის, რომ შენ „ხიერეე" დაკარგეს ბრაკადილ.
ფეეეი შენი ოლენი, შენეკ ჩემი ჭაფალ ხარ მავალი,
ეეკეკ მანდ მოიხვეკ ხიკოცეეეს და ბოლოს აოკ აკ ვკეფეხ,
რამ ადგილი დაკარეეეი, რაგ არ გაკეკ ამის შეეე

# ქართველები გახლავართ!

1.

მეტყვიამფრქვევე ბახუ ნოდია ჭკვიანი და ენამახვილი მებრძოლი იყო. ერთი ჩვეულება კი სჭირდა: აუჩქარებელი კაცი იყო.

აი, ახლაც, ასეულის კრებაზე გვიან მოვიდა და დინჯათ სთქვა:—რა დროს კრებაა ბიჭებო? ერთი პირი ბრძოლა მირჩევნია ყველაფერს.

— მოენე მოუყვანეს მეთაურს და ისეთი პაკეტები აღმოუჩინეს, რომ ხმლით ასაკუწია მათი დამწერი,—უთხრეს მას.

— მაინც რააო? რა პაკეტებიაო?—იკითხა ბახუმ.

— თურმე გერმანელ პოლკოვნიკს ბრძანება დაუწერია: ქართველები ჩამოვიდნენ და ბრძოლა გაგვიადვილდებაო. ქართველებს რა ბრძოლა შეუძლიათო... აი, ნახე! — და ბახუს ფურცელი გაუწოდეს.

ბახუმ ფურცელი შეატრიალ—შემოატრიალა და თქვა:—რას პოტიკობს ის პოლკოვნიკი? იმას კი ხვდება საკადრისი პასუხი!...

2.

გერმანელი პოლკოვნიკი მართლაც დარწმუნებული იყო, რომ მისს შენაერთს ძლიერი მოწინააღმდეგე არ შეხვდებოდა. მართლაც, რატომ უნდა გამოიდონ თავი ქართველებმა? აკი უნგრელებიც, სლოვენებიც, რუმინელებიც ცუდათ იბრძვიანო.

ამიტომ პოლკოვნიკმა გაბედული ოპერაცია განიზრახა: ერთი საკომანდო სიმაღლის აღება. ეს სიმაღლე ერთი ხანია ცილობის საგანი იყო. ხან ხელიდან ხელში გადადიოდა, ხანაც „არავისი“ იყო. ქართველების ჩამოსვლა რომ გაიგო, პოლკოვნიკს იმედი მოეცა: ახლა კი დავინარჩუნებ სიმაღლეს და სახელს მოვიხვეჭო.

სისხამ დილას პოლკოვნიკი ეცა სიმაღლეს.

— ხოხ! ხოხ![1]) —ისმოდა გერმანელების ხმა ნისლით მოცულ სიმაღლის კალთებზე.

ქართველებმა სუსტი ცეცხლით უპასუხეს. გერმანელ პოლკოვნიკს გული მოეცა. იმედი მიმართლდებაო და ჯარი გაშალა. ქართველ მეთაურსაც ეს უნდოდა: მტერი ვიწრო მოსადგომში მოუშვა და ტყვია დააწვიმა. ბახუ ნოდიამ თავისი ტყვიამფრქვევი ხევში გადაზნექილ კლდეზე მოაწყო. დინჯათ, აუჩქარებლად უშენდა სიმაღლის კალთებს და ხანდახან გადასძახებდა ზევიდან ჩამოგორებულ გერმანელებს:

—ხოხი, გერმანია! ხოხი! [2])

ბახუ აცინებდა ამხანაგებს. საოცარი იყო ამ ბრძოლაში ეს—სიცილი... დიდი უცნაურობაა კაცის გული.

3.

მზე რომ წელში გაიმართა და ნაომარ ხალხს გადახედა, სიმაღლეზე უკვე საბჭოთა დროშა ფრიალებდა. ქართველი მებრძოლები მეთაურს შემოხვეოდნენ და ყურს უგდებდნენ მისს ხანჯალივით მოკლესა და ბასრ სიტყვას:

—ამხანაგებო, ჩვენ აქ სამშობლოს ვიცავთ! ჩვენ აქ ჩვენს ხალხს ვიცავთ! ჩვენი უშიშროების კარი აქ არის გადარაზული!...ამ კარზე ჩვენი სისხლით აწერია: „გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!..“

ბახუ ნოდია გვიან ამოვიდა სიმაღლეზე. ის ვიღაცა ხელებშეკრულ გერმანელს მოერეკებოდა, გერმანელი ძლივს მიათრევდა ფეხებს და ბახუ უძახოდა:

— ხოხი, გერმანია! ხოხი!...

მებრძოლებმა დაინახეს და სიცილი შესკდათ.

— ერთი ნავარი შეკიპყარი, — მოახსენა ბახუმ მეთაურს.—ნახეთ ვინაა?

— ნავარი კი არა დიდი ონავარი მოგიყვანია, ჩემო ბახუ!—გაეხარდა მეთაურს.—ეგ ხომ თვითონ გერმანელი პოლკოვნიკია?

— თო ჯიმა![3]) რა მიქნია?—გაუკვირდა ბახუს.

პოლკოვნიკს შემოეხვივნენ. პოლკოვნიკმა ახედ-დახედა ცხვირკეხიანსა და შავთვალწარბა ხალხს; გაკვირვებით იკითხა:

— ვინა ხართ თქვენ?

ბახუ ნოდიამ მოენისთვის ჩამორთმეული ფურცელი ამოიღო, პოლკოვნიკს ზედ ცხვირწინ დაუფრიალა და ეშმაკური ღიმილით უპასუხა:

— ჩვენ ვინა ვართ? ქართველები გახლავართ, ბატონო პოლკოვნიკო! ქართველები!...

[1]) ხოხ—გერმანულად—ვაშა.

[2]) ხოხი—მეგრულად—იფორთხე.

[3]) უჰ, ძმაო!—მეგრულად.

**როდიონ ძოწენიძე**

# ერთადერთი საშუალება

„უნგრეთის გაზეთი „პესტერ ლოიდი“ სწერს: „ჩვენ გვინდა შაგარი ხასიათის ქალები, რომლებიც მაშინაც კი არ ირბენენ თავიანთ ქმრებსა და შვილებს, როცა მათ საჭმელი არა აქვთ და „შიშვიანს-ჯანიც“ დიან“.

ნახ. გ. ლომიძისა



1. ელზამ უმუშევარი ქმრის გამხიარულება განიზრახა. გესტაპოელ მეზობელს ქმრის ტანსაცმელი სთხოვა და მუთაქებზე გესტაპოელების ფატული გააკეთა.

2. ელზამ სახლში დაბრუნებული ქმარი გააფრთხილა, ჩვენს ოჯახს გესტაპოელები ესტუმრენ ოპტიმიზმის შესამოწმებლად და ეცადე მხიარული სახე მიიღო.

3. ელზას ქმარს გესტაპოელების ხსენებაზე შიშისაგან ენა ჩაუვარდა. ნაძალადევი სიცილით იგი „დაუპატიჟებელ სტუმრებს“ მიესალმა.

4. როცა ელზას ქმარი ცოლის ოინში დარწმუნდა სიბრაზისაგან ფატულს თავში ჩააფარა და მიაფურთხ.

# საიუბილეო ნაღმები

ნახ. ი. კროტკოვისა



1.

— ჰანს, რატომ არის, რომ დღეს რუსული ნაღმები უფრო მძაფრი ზუზუნით და უფრო მეტი ცვივა?

— იმიტომ, რომ ისინი საიუბილეოა.

— მერე რა განსხვავებაა ჩვეულებრივ ნაღმებსა და...

2.

საიუბ...

# რუსული იუმორი

(„კროკოდილიდან“)

ნახ. ა. კანევსკისა

გერმანელთა განადგურება შორს აღარაა

## „ხელმარჯვეობა“

ნახ. ი. განფისა

— გრცხვენოდეთ ჰერ გებელს, ბოლოს და ბოლოს არ უნდა გეკადრებიათ ჩემთვის სათვალავში ასე მოტყუება.

(„პრავდიდან“)

ნახ. კუკრინიკსებისა

## გებელსი დგას და ჭრაბახობს

გებელსი დგას—და ტრაბახობს,
თავის ამინდი ჰგონია
ცეცხლში ჩაფლული ჰიტლერი—
ნაპირს გასული ჰგონია.

რწყილს კამეჩს მოაგებინებს;
ორს გახდის ოცჯერ ასადა,
სიმართლეს ჩალად არ აგდებს,
ტყუილს ჰხდის ოქროს ფასადა,

ევროპა გამოაყრუა
მუქარითა და ტრაბახით,
სურს იდეალად გახადოს
"ახალი წესი"—ნაბახი.

ბანკირთა ნაცარქექიამ
ქურდებს შეუქო ხელობა,
ხოტბა შეასხა ჰიტლერის
მიერ ბავშვების მკვლელობას.

"გააცამტვერა" ქალალდზე
ჯლაბნით წითელი ლაშქარი,
მაგრამ თითონვე ზურგსა სწვავს
მას მარცხის შიშის ხანძარი,

თანაც მოადგა ჭრიჭინას
კარზე მეორე ზამთარი,
და დომბალივით აებნა
"ბლიც—კრიგის" ძველი დავთარი.

**როსტომ საგითი**

## გამონაკლისი

წითელი არმიის ახალგაზრდა მებრძოლები ისვენებდნენ. მათ შორის მხიარული მასლაათი იყო გაბმართული, ზოგი ანეგდოტებს ჰყვებოდა, ზოგი სამხედრო კლუბში დადგმული კომედიის სახაცილო გმირებს აჯავრებდა და ამხანაგებში მხიარულ სიცილს იწვევდა.

ერთ ჯგუფში ორმა წითელარმიელმა როლები გაინაწილა: ერთი ნაპოლეონივით იბღვირებოდა, მეორემ—ჰიტლერის როლი აიღო და კატის კნუტს მიჰბაძა, წელში მოიხარა, უკან წაღებული თითი კატის კუდივით ააქიცინა და თან ჩხავილი დაიწყო.

— მართლაც სასაცილო მდგომარეობაშია „ფიურერი“ როცა ნაპოლეონობას იჩემებს, რა უნდა იყოს საერთო მასა და ნაპოლეონს შორის? არავითარი რამ.— დამტკიცებითი ტონით წარმოსთქვა ერთმა წითელარმიელმა.

— არ გეთანხმები. განსხვავება არის მაგრამ „არავითარის“ თქმა არ შეიძლება.—შენიშნა მეორემ.

— ვიმეორებ არავითარი საერთო არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს—გაიმეორა მეორემ.

— არის გამონაკლისი, არის ისეთი თვისება, რაც საერთო იქნება „ფიურერსა“ და ნაპოლეონის შორის.

— რა თვისება?

— მარცხი.

**დავითა**

# ფუჭი ოცნება ანუ...

ნახ. დონისა

ესენი, რომელთა არსებობის თარიღიც წაშალა ოქტომბრის დიდმა თარიღმა და რომელთა რეჟიმის დაბრუნებით სურთ „გაბედნიერონ“ ფაშისტებმა სსრკ ხალხები.

## ჰანსის პაჭაკი

ერთ საღამოს გერმანელი ოფიცერი ჰანს ქშუტუნშტეინი, რომელიც ის იყო ღრმა ზურგიდან მოწინავე ხაზზე გადმოიყვანეს, მაგრად შეეინყლილებული საცვლების ამარა ტახტზე გაგორდა. გარედ შემოდგომის ქარიშხალი მძვინვარებდა. ჰანსი ტკბილი სასმელებით უელს ჩაიხველებდა და ოცნებას მიეცემოდა. ათასნაირ გეგმებს ამუშავებდა გახურებულ ტვინში იმ გადამწყვეტ შეტევაზე, რომელიც უნდა დაწყებულიყო და რომელსაც მისი ფიქრით, მისი კარიერა მწვერვალამდე უნდა აეყვანა.

— დამთავრდება თუ არა ომი, თუ მეტი არა, ორი ათასი ჰექტარი უკრაინის საუკეთესო მამულები ჩემს ხელში მოექცევა. რამოდენიმე ათასი ხლავი ყმად მეყოლება. ავიშენებ საკუთარ ციხე-სასახლეს და...

უეცრად სადღაც ახლო ყუმბარა გასკდა, მძლავრმა დარტყმამ ოთახის კარები ჰაერში გასტყორცნა და ჰანსის ოთახი ქარიშხალმა ააფორიაქა.

* * *

წუმპეში ამოვლებულ ჭირიან ინდოურივით, საცვლების ამარა იდგა თავდახრილი ჰანსი უფროსის წინაშე.

— უეცარი თავდასხმა იყო თქვენო აღმატებულებავ! ჩემი ბატალიონიდან არც ერთი კაცი აღარ გადარჩენილა. მეც რაღაც განგებით გადავურჩი იმ ჯოჯოხეთურ ცეცხლს, რომელიც ჩვენს თავზე დაატრიალეს. მაგრამ მიუხედავად ასეთი ელვისებური თავდასხმისა, რაც პირადად ჩემს განკარგულებაში იყო დიდი გერმანიისა და ჩვენი ფიურერის საამაყოდ მტრისათვის არაფერი არ დამიტოვებია.

— ???

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ! ჩემს ოთახში შემდეგი ნივთები დარჩა: „ტელეფონის კომუტატორი თექვსმეტი ნომრით ბელგიის ფირმის, ყუმბარები პოლონური და ესტონური, შამპანიური—უნგრული, გუტალინი—ლიტვის, ჩიბუხი—ფრანგული, თამბაქო და სიგარები—ბერძნული, ჩუსტები—ლატვიის, შეკუმშული რძე—პარიზის, წინდები—ნორვეგიის, კონსერვები—დანიის და ჰოლანდიის. როგორც მოგეხსენებათ ეს ყველაფერი ხსენებულმა სახელმწიფოებმა, დიდი ფიურერის წყალობით, საჩუქრად გამოგვიგზავნეს. მათ შორის წმინდა გერმანული ფირმის ნაწარმოებიც იყო, რომელიც ჩვენ ფიურერმა საჩუქრად გამოგვიგზავნა და რომელიც მეშინოდა ხელში არ ჩავარდნოდა მოწინააღმდეგეს. დიდი ბრძოლის შემდეგ გამოვიტანე და...— ამ სიტყვაზე ჰანს ქშუტუნშტეინმა ამაყად დაალაკა მაგიდაზე მთელი დასტა პორნოგრაფიული სურათებისა.

დ. გელაშვილი

## გამოაღგა

ნახატი დონისა

ომის დაწყებისთანავე, იმ იმედით, რომ ლენინგრადს აიღებდნენ, გერმანიის არმიასთან ერთად წამოვიდნენ ყოფილი მეფის გვარეულობის ნარჩენი-ხარახურები, რომლებსაც ჰიტლერი ლენინგრადის აღების თანავე გამეფებას ჰპირდებოდა მათ შორის იყო დიდი მთავრის კირილეს ასული კირა.

კირა კირილეს ასული: თუმცა ლენინგრადის აღების იმედი მეზარალა, მაგრამ ამ გვირგვინს არ ვიზარალებ და უფრო მცირე მოწყალების აღებაში მაინც გამოვიყენებ.


**სარედაქციო კოლეგია.** Сатирико-юмористический журнал „Нианги“. **რედაქციის მისამართი:** ლენინის ქ. № 28. **ტელ.** 3-10-49

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1942 წ. 11/XI. ამხ. ლ. ბ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამომც. № 61. შეკვ. № 1150. უე 13676.